№ 126
ოთხშაბათი, 14 ივნისი, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

ივერია

№ 126
ოთხშაბათი, 14 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაგარეგლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

აზ. პავლე გიორგის ძე ქუთათელაძე, მეუღლე მისი სარრა ბესარიონის ასული, ასულნი მათი ნინა და მარიამ და სევერიანე და პროკოპი ბესარიონის ძენი ჩხენკელნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის პირველთა—საყვარელის ძისა, მეორეთა—საყვარელის ძმისა, ხოლო უკანასკნელთა ძვირფასის დის წულის მეხუთე კურსის სტუდენტის-ექიმის

გიორგი პავლეს ძის ქუთათელაძის

სულის მოსახსენებლად, შაბათს, 17 ივნისისათვის დ. ხონში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი. (1—6.—1)

დაბა ახალ-სენაკის წარმომადგენელნი
ამით აცხადებენ ყველას საყურადღებოდ, რომ მთავრობის ნებართვით, და ახალ-სენაკში ყოველ წლობით ოცდა-ორ ივნისიდგან, ერთი კვირის განმავლობაში მოხდება ხოლმე

ბაზრობა

ყოველნაირის ნაწარმოებისა და პირუტყვთა. (2—130—1)

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც სურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

შ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ხახანასიანცი დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი, 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი 1—1½ საათ შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 საათ.

ვ. მ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

გ. ლ. მარკოვიჩი—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

ი. დ. გეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

მთავრობის განკარგულებანი

დაინიშნა თელავის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელედ გიორგი ხელაშვილი.

თიონეთის მაზრის ერწოს განყოფილების პოლიციის ბოქაულს ტიტულ. სოვეტნიკს თავ. ბარათაშვილს ებოძა კოლეჟ. ასსესორობა.

სიღნაღის სამაზრო პოლიციის მდივნის თანამდებ. აღმასრულებელს გუბერნ. სეკრეტარს ბაქრაძეს ებოძა კოლეჟ. სეკრეტრობა.

ებოძა გუბერნ. სეკრეტრობა კოლ. რეგისტრატორებს: ტფილისის სამაზრო საპოლიციო მმართველობის კანცელარიის მოხელეს ესაძეს და სიღნაღისას მოსულიშვილს და ტფ. საქალაქო პოლიციის მოხელეს გაბაშვილს.

ახალი ამბავი

⁂ რადგანაც 10 ივნისს ქალაქის გამგეობისა და ქალაქის ელექტრონით განათებისათვის საგანგებოდ შემდგარ კომისიის შეერთებული კრება ვერ შესდგა, ამისათვის მეორე სხდომა ხუთშაბათისათვის არის დანიშნული; მომავალს ორშაბათს აღნიშნული კითხვა ქალაქის საბჭოში იქმნება წარდგენილი განსახილველად.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოება დაწვრილებითს მოხსენებას თურმე ამზადებს ტფილისის საბაღოსნო სკოლის შესახებ. ამ მოხსენებას მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგს წარუდგენენ.

⁂ რადგანაც ბელგიის უსახელო საზოგადოების მიერ სიტყვით აღთქმულის 600,000 მან. ავანსის შესახებ ქალაქის გამგეობას ჯერ არავითარი პასუხი არ მიუღია, ამისათვის გამგეობას აღნიშნულ საზოგადოების წარმომადგენლისათვის უცნობებია, რომ ქალაქს ჰსურს 500,000 მან. მიიღოს ავანსად. ეს თანხა საზოგა-

ფელეტონი

ბ-ნ მოსე ჯანაშვილის წიგნის: „Грузинскія обители внѣ Грузіи“-ს გამო.

(ვუძღვნი ყოვლად უსამღვდელოესს ლეონიდეს, ეპისკოპოსს გორისას).

დიდად პატივცემულის ბ-ნ მოსე ჯანაშვილის ამ წიგნში მოყვანილია უტყუარი ისტორიული საბუთები იმის შესახებ, თუ რა წილი ჰქონდათ სახელოვანს ჩვენს მამა-პაპებს პალესტინასა და ათონის მთაზედ. ამ წიგნის შემწეობით დაკვირვებული მკითხველი ცოტად თუ ბევრად შეიგნებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ ქართველებს პალესტინასა და ათონის მთაზედ, არა თუ მარტო საქართველოსთვის, არამედ სხვა საქრისტიანო ქვეყნებისთვისაც... ამავე წიგნში განმარტებულია სამწუხარო გარემოება, თუ როგორ ჰმტრობდნენ ქართველებს ბერძნები იმ თავითვე და სცდილობდნენ გამოედევნათ იგინი ათონის მთიდგან და პალესტინიდგანაც. ბოლოს იქამდის მიაღწია უსამართლო მტრობამ ბერძნებისამ ქართველთა მიმართ, რომ მათ დღეს სურთ ერთი ქართველიც-კი აღარ იმყოფებოდეს ათონის მთაზედ და პალესტინაში, რომელთ მონასტრების სასარგებლოდ ქართველმა კეთილმსახურმა მეფეებმა შესწირეს საქართველოში დიდ ძალი შემოსავლიანი ადგილ-მამული. დღეს ეს ადგილ-მამული მთლად ბერძენთა სამღვდელოების ხელშია და ქართველს არავითარი წილი არ უძევს. ამ ადგილ-მამულის შემოსავლით ინახება იერუსალიმის ბერძენთა სასულიერო სემინარია და სხ. მრავალი დაწესებულება ბერძნებისა, სწორედ იმ დროს, როდესაც ასე უსამართლოდ სდევნიან ისინი ამ ადგილ-მამულის შემწირავს და მისთვის ძველად თავ-დადებულს ქართველობას. პალესტინაში დღეს აღარც ერთი ქართველი ბერი არ მოიპოვება ბერძენთა მეოხებით, იმ პალესტინაში, სადაც ქართველთ ჰქონდათ მრავალი მონასტერი და მათ შორის შესანიშნავი მონასტერი წმ. ჯვარისა, რომლის დასაწყისი თითქმის მეხუთე საუკუნეს ეკუთვნის და რომელიც განახლებულ იქმნა საქართველოს მეფის ბაგრატ მეოთხისა და მისის დედის ელენეს საფასით მეთერთმეტე საუკუნეში. როდესაც ჯვაროსანთა ჯარი იერუსალიმში შევიდა მეთერთმეტე საუკუნის გასულს, აქ იყვნენ ბერძნების, ქართველების და სომხების წარმომადგენელნი, რომელთაც საშიშს დროს თურქთა ბატონობისას არ დასტოვეს მაცხოვრის სამშობლო.

ამ ბოლო დროს ამ მონასტრების საქმის გამოსარკვევად საუკეთესო დრო დადგა... წარსულს ზაფხულს იმოგზაურა პალესტინასა და ათონის მთაზედ დიდად პატივცემულმა დეკანოზმა მამა პეტრე კონჭოშვილმა, რომელმაც დაახლოვებით გაიცნო ამ ქვეყნებში ქართველ მოღვაწეების მდგომარეობა და ამის შესახებ საყურადღებო წერილები დაჰბეჭდა წარსულს წელს „ივერიაში“. წარსულს წელსვე დაიბეჭდა რამდენიმე წერილი ათონის მთის ქართველ ბერების შესახებ ამავე გაზეთში. იმავე წელსვე გამოსცა რუსულს ენაზედ ზემოდ მოხსენებული წიგნი ბ ნმა მოსე ჯანაშვილმა საქართველოს ეკკლესიის პირველ მღვდელ-მთავრის ექსარხოსის ფლაბიანეს ლოცვა-კურთხევით და ნება-დართვით... ამ რუსულს ენაზედ დაწერილის წიგნის საშუალებით მრავალი პირი შეიტყობს იმას, თუ რა დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის ქართველობას ქრისტიანობის წინაშე, ნათლად წარმოიდგენს იმ აღუწერელსა და გამოუთქმელს უსამართლობას, იმ ძალ-მომრეობას, რომელსაც ხმარობდნენ და ხმარობენ ბერძნის ბერები ქართველების დასაჩაგრავად და მათის სახსენებელის მოსასპობლად ათონის მთაზედ და პალესტინაში...

ბ-ნს მოსე ჯანაშვილს მოჰყავს თავისს წიგნში ერთი ფრიად საყურადღებო ადგილი იმ წერილიდგან, რომელიც იყო დაბეჭდილი გაზეთ „С.-Петербургскія Вѣдомости“-ში... და რომელიც ამავე საგანს შეეხება. ეს სიტყვები წარმოუთქვამს რუსთა წმ. პანტელეიმონის მონასტრის იკონომოსს მამა მისაილს... ...„მხოლოდ ბერძენთა ბერების გაუმაძღრობით“—ჰბრძანებს მამა მისაილი—„აიხსნება შეტაკებანი ბერძენთა ბერებისა და ქართველთა მონასტრის შორის, ამბობენ, რომ პოლიცია არ ჩარეულიყო საქმეში, ცუდი ამბები დატრიალდებოდა... ხუმრობაა, ძმა ძმის წინააღმდეგ აღმხედრდა ხანჯლებით, დანებით და კეტებით ხელში. აბა იფიქრეთ, ნუ თუ ეს ბერთა საქმეა სწორედ იმ დროს, ოდეს მთელი განათლებული ქვეყნიერება ჩვენის დიდ-სულოვანის მეფის დაწყებით ჰქადაგებს ძმობას, მშვიდობიანობას და სიყვარულსაო?!.“ (გვერდი 43). ამ სიტყვებს რუსთა ეკკლესიის პატიოსანის ძისას, ვფიქრობთ, განმარტება აღარ ეჭირვება. ბ-ნი მოსე ჯანაშვილი ურჩევს „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებას“, რათა მან იკისროს ზრუნვა ქართველთათვის ბერძნების მიერ წართმეულ მონასტრების დაბრუნებისა... მართლაც, რომ ამ საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარედ ჰბრძანდება საქართველოს ეკკლესიის პირველი მწყემსთ-მთავარი, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი, ფლაბიანე შეუძლია აღძრას მხურვალე შუამდგომლობა უმაღლესის მთავრობის წინაშე ხსენებულ საკითხის დასაბოლოებლად. მაგრამ სამღვდელოების ამ შუამდგომლობას ქართველმა კეთილშობილმა წოდებამაც მხარი უნდა დაუჭიროს.

თუ დავაკვირდებით ჩვენს ისტორიას, ცხადად შევიტყობთ, რომ ქართველს სამღვდელოებას მეგობრულად ჭირსა და ლხინში გვერდს უდგა ქართველი თავად-აზნაურობა, რომლის წარმომადგენელნი მსახურებდნენ წმ. ეკკლესიას სხვა-და-სხვა სამღვდელო ხარისხში. ეს ორი წოდება ძველად ორივ სამშობლოს და ეკკლესიის სასარგებლოდ ჰზრუნავდა... ამ ორივ წოდებისთვის ერთნაირად ძვირფასი იყო მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოება და ორსავე ერთნაირად გული შესტკიოდა ყოვლისავე მისთვის, რაც ქართველის ხალხის „წმიდათა წმიდას“ შეადგენდა... თითქმის თითოეულ ქართველის თავადისა და აზნაურის საგვარეულო ისტორიაში შეხვდებით რამდენსამეს, რომელთაც განათლება მიუღიათ პალესტინის და ათონის მთის ქართველ მონასტრების სასწავლებლებში, უღვაწნიათ, უშრომნი-

დოებამ ქალაქის გამგეობას უნდა წარუდგინოს.

⁂ ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, რომ მალე პეტერბურგში გაიმართება მთელის რუსეთის შინა-მრეწველობის გამოფენა. ამ ჟამად საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე შეიმუშავა შემდეგი წეს-რიგი გამოფენისა: გამოფენას ხელი უნდა შეუწყონ და შეაგროვონ ექსპონატები ადგილობრივ საადმინისტრაციო და საზოგადოებრივ დაწესებულებათ, ერობამ, შინა-მრეწველობის კომიტეტებმა და ყველა კერძო პირებმა, ვის ყურადღებასაც მომავალი გამოფენა იზიდავს. გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ როგორც ცალკე მრეწველთ, ისე საზოგადოებათაც. ადგილის დაჭერისათვის გამოფენაზე ექსპონენტს არაფერი არ გადაჰხდება. გამოფენაზე ნება-დართული იქნება საოჯახო ნაწარმოებით ვაჭრობა. საუკეთესო ექსპონატები დაჯილდოვებულ იქმნებიან. ვისაც ჰსურს გამოფენაში მონაწილეობა მიიღოს, სურვილი უნდა წინ-და-წინვე განუცხადოს მიწადმოქმედების სამინისტროს სასოფლო ეკონომიის განყოფილებას წერილობით. ამ ჟამად საორგანიზაციო კომიტეტი წეს-რიგსა და პროგრამას ადგენს შინა-მრეწველობის მოღვაწეთა საერთო კრებისათვის, რომლის მოწვევაც ხსენებულ გამოფენის დროს არის განზრახული.

⁂ ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია წესდება ხელოსანთა ამხანაგობის „შრომისა“ და წარმოუგზავნია ტფილისის გუბერნატორისათვის დანიშნულებისამებრ გარდასაცემად. ამ წესდებას ამ ახლო ხანებში გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

⁂ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსს ზედამხედველს ქალაქის გამგეობისათვის წინადადება წარუდგენია, რომ დ. სიმონოვის მოედანზე, რიყეზე, გამართულ იქმნას ზაფხულისათვის ეგრედ წოდებული სავაჭრო ფარდული, სადაც მებაღეებს შეეძლოთ თავიანთი ნაწარმოები დააწყონ და ივაჭრონ მცირე ფასის გადახდით ადგილის ქირად.

⁂ 1898 წ. ქ. ოზურგეთის თვითმმართველობამ შუამდგომლობა დაიწყო, რომ ოზურგეთსა და სადგურ ნატანებსა და აქედგან ნიკოლაევსკს (შეკვეტილს) შუა რკინის გზა გაეყვანათ. ამ რკინის გზის შტოს სულ 18,1 ვერსი სიგრძე ექნებოდა და დაჯდებოდა 368,035 მან. 38 კ. როგორც საქმიდგანა სჩანს, ამ გზის გაყვანის სურვილი განუცხადებია თითონ ქალაქის მოურავს ნიკ. თავდგირიძეს, მაგრამ თავდგირიძის პირობებზედ უფრო შეღავათიანი და ქალაქისათვის სასარგებლო პირობები წარუდგენია იუნგის ამხანაგობას, მაგრამ იმ პირობით, რომ ლიანდაგი ქ. ოზურგეთიდგან სადგურ ნატანებამდე იქმნას გაყვანილი. ეს საგანი ამ ჟამად კავკასიის უმაღლესს მთავრობას თურმე აქვს წარდგენილი განსახილველად.

⁂ ოთხშაბათს, 7 ივნისს, ქალაქის გამგეობის სადგომში ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობისა და კომისიის წევრთა შეერთებულს კრებულს, რომელზედაც განიხილეს ორი საქმე: ქალაქის მცხოვრებლებზე ქუჩებისა და ეზოების დაწმენდა-დასუფთავებისათვის საჭირო თანხის შესადგენად განსაკუთრებულ გარდასახადის შეწერისა და ქალაქის ნაგავტალახის გასატანად განსაკუთრებულის ნაგვის საზიდ ურმების შემოღების შესახებ. შეერთებულმა კრებულმა, განიხილა-რა მთელი ამ საქმის შესახები მასალა და მიიღო-რა სახეში დადგენილება ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიისა ნაგვის საზიდ ურმების შემოღების შესახებ, ერთხმად დაადგინა: 1) დაწესდეს საზოგადო გარდასახადი უძრავ ქონებათა პატრონებზედ სულ 10% დასაფასებელ გარდასახადისა იმ პატრონთა გარდა, რომელთა ქონებაც დაფასებულია 500 მან. ნაკლებ; 2) გარდასახადი დაწესდეს აგრეთვე სახელმწიფო თუ სასულიერო დაწესებულებათა და აგრეთვე ქალაქის ქონებაზედ; 3) გაიმართოს 100 ნაგვის საზიდი ურემი; 4) გადასდონ ერთხანად ნაგვის საზიდ ურმების შესაძენად 24,000 მან., იმ პირობით, რომ შემდეგ, 12 წლის განმავლობაში, იქმნას შევსებული განზრახულ გარდასახადიდგან ყოველ წლობით 2000 მან. გადადებით; 5) გადაიდვას ყოველ წლობით ამ საქმისათვის 52,000 მანეთი და 6) როდესაც ეს დადგენილება ძალაში შევა, შედგენილ იქმნას სავალდებულო დადგენილებანი ამ საქმის შესახებ.

⁂ როგორც გვატყობინებენ, ხონსა და სამტრედიაში ამ ჟამად ფუთი აბრეშუმის პარკი 15 მან. და 60 კ. თურმე ფასობს.

⁂ ტფილისის პირველ 5 კლასიან პროფესიონალურს სკოლაში, ამ წელს სწავლა დაუმთავრებია თერთმეტს ქალს. ამათგან შვიდი სომეხია და ოთხი ქართველი: ქეთევან არსენაშვილისა, ოლღა ბრეგვაძისა, ნინო საათაშვილსა და ელისაბედ ირემაშვილისა.

⁂ გუშინ-წინდელს ქალაქის საბჭოს სხდომაზედ, სხვათა შორის, განხილულ იქმნა შუამდგომლობა მღ. კალ. ცინცაძისა იმის შესახებ, რომ დიდუბეში ცეცხლისაგან დაზარალებულ ოცს ოჯახობას ქალაქმა შემწეობა აღმოუჩინოს ფულით. ამ საგნის შესახებ გამგეობისა და საფინანსო კომისიის აზრი სრულიად განსხვავდა; საბჭომ მიიღო საფინანსო კომისიის აზრი, რომ ქალაქმა 250 მან. დახმარება აღმოუჩინოს; განიხილეს და მიიღეს ხარჯთ-აღრიცხვა საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისსის წევრად ამორჩეულ იქმნა ბ-ნი ოდენოსუმოვი. ამოირჩიეს სასწავლებელთა აღმასრულებელ კომისიის თავმჯდომარედ კ. პ. ალიხანოვი. ამის შემდეგ საბჭომ მოისმინა საყასბოსთან ქალაქის მიწების იჯარით გაცემის შესახებ გამგეობის დადგენილება და გარდასწყვიტა ეს საგანი საგანგებო კომისიას მიანდოს, რომლის წევრებადაც ამორჩეულ იქმნენ: ბ-ნნი აკოფოვი, ენფიანჯიანცი, ი. კ. შადინოვი, პ. ი. ალიბეგოვი, გ. ა. კიურჩარიანცი, რ. ა. თაიროვი და ს. დ. ლისიციანცი. საბჭომ მიანდო ამათ, დაახლოვებით გაიცნონ ეს საქმე და შეიმუშავონ, თუ რა წესით უნდა იქმნას ეს მიწები დაყოფილი და იჯარით გაცემული. დანარჩენი საბჭოს შემდეგ სხდომისათვის იქმნა გადადებული, რომელიც 19 ივნისს არის დანიშნული.

⁂ ბაქოს რეალურს სასწავლებელში მხოლოდ ერთს ქართველს—კონსტანტინე გიორგობიანს დაუსრულებია ამ წელს კურსი.

⁂ ტფილისის ვაჟთა I-ლ გიმნაზიის მმართველობა აცხადებს, რომ ხსენებულს გიმნაზიაში მომავალ სამოსწავლო წლისათვის თავისუფალი ადგილები მხოლოდ უმცროსს მოსამზადებელ კლასშია, დანარჩენს კლასებში წელს აღარავის მიიღებენო უადგილობისა გამო. ხსენებულს კლასში შესვლის მსურველთა გამოცდა 20 მარიამობისთვეს დაიწყება.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის მიერ დამტკიცებულის ხორცის ნიხრის შესახებ სასტიკი განკარგულებაა მომხდარი, რომ ნიხრით აღნიშნული ფასები უთუოდ დაცულ იქმნას და ვაჭრებმა მსყიდველებისაგან მეტი არ აიღონ ხოლმე.

⁂ ტფილისის თვით-მმართველობის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ძაღლებზედ თითო მანეთი გარდასახადი იქმნას ქალაქის სასარგებლოდ შემოღებული, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს უკვე წარუდგენია სადაც ჯერ არს.

⁂ მთავრობის კანონ-დებათა და განკარგულებათა საკრებულოს“ № 60-ში გამოქვეყნებულია: რომ 1) ამიერიდგან სტავროპოლისა და შავის ზღვის გუბერნიაში სახელმწიფო სასმელების სყიდვა იქმნება შემოღებული; 2) ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ქალაქებს შეეძლებათ 1892 წლ. ქალაქის დებულების მე-44 მუხლით იხელმძღვანელონ და 3) რომ ამიერიდგან ნახევარ-სადგური მარელისი სრულ სამგზავრო და საქონლის სადგურად არის გადაკეთებული.

⁂ პეტერბურგში ახლად შემდგარს საზოგადოებას, რომელსაც აზრად აღმოსავლეთის გაცნობა და შესწავლა აქვს, განზრახვა თურმე აქვს ქ. ერევანსა, თავრიზსა და ბუხარაში განყოფილებები იქონიოს.

⁂ მომავალ 1901 წლისათვის სამხედრო ბეგარის მოსახდელად 1879 წლ. 1-ლ ოქტომბრიდგან 1880 წლის 1-ლ ოქტომბრამდე დაბადებულნი იქმნებიან გაწვეულნი.

⁂ როგორც „ცნობ. ფურც.“-ი სწერს, ერთ ინგლისელ საზოგადოებას, რომლის წარმომადგენლადაც ამიერ-კავკასიაში ინჟენერი მეკენზია, სოფ. დარკვეთში (შორაპნის მაზრა) შავის-ქვის მადნები უყიდნია და ამ მოკლე ხანში მუშაობასაც შეუდგებაო. გარდა ამისა საზოგადოებას განზრახვა თურმე აქვს დარკვეთიდგან ჭიათურის გზამდე რკინის გზის შტო გაიყვანოს.

⁂ მიწად-მოქმედების სამინისტროს ნება-რთვით ენკენისთვეში თერგის ოლქის სოფ. პროხლადნაიაში მეორე ს.-მეურნეო და შინა-მრეწველობის გამოფენა გაიმართება. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას თხოვნა მოუვიდა უკვე,

---

ათ ამ მონასტრების სასარგებლოდ, სისხლი და ოფლი უღვრიათ მათთვის, შეუწირავთ თვისი სიმდიდრე მათდა გასამშვენიერებლად და აღსაყვავებლად. რამდენს მათგანს ენატრებოდა სულით და გულით თვისის თვალით ნახვა ამ ორის ქრისტიანობისთვის უძვირფასესის ადგილისა,— ბევრს მათგანს მოუვლია ეს მხარე, მოულოცავს იქაური მონასტრები; ზოგი მათგანი სიმშვიდით იქვე გარდაცვლილა და იქვე შავ-ბნელს სამარეში სამუდამოდ ჩასულა. ქართველები არასოდეს არ ივიწყებდნენ, პალესტინას და ათონის მთას, და ან რად დაივიწყებდნენ, როდესაც მათ ამ ადგილების წინაშე დიდი ამაგი მიუძღოდათ... მათ წილი ედოთ ამ ადგილებში და ეს წილი უჩვენებდა უტყუვრად იმ საბუთს, რომ ქართველს ხალხს სიცოცხლის, წინ-სვლისა და განვითარების ძალა ჰქონდა, რომ საერთა-შორისო ცხოვრებაში მასაც შესამჩნევი ადგილი ეჭირა და არავის მისცემდა ნებას შეელახა მისი ისტორიული უფლება ხსენებულს ქვეყნებში, დიდის შრომითა, ღვაწლითა და სახსრით მოპოვებული.

ზემოდ ვთქვით, რომ თითოეულის ქართველის თავადისა და აზნაურის გვარს ჰქონდა მონაწილეობა პალესტინის და ათონის ბედ-იღბალშიო; თითოეულს მათგანს ასეთი თუ ისეთი ამაგი მიუძღვის იქაურ არა თუ მარტო ქართველ მონასტრებისა, არამედ თვით ბერძენთა მონასტრების წინაშე,—ამ მონასტრებში ნასწავლი ქართველები სასარგებლო მოღვაწეები იყვნენ არა თუ მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ თვით საბერძნეთისათვის. გავიხსენოთ მეხუთე საუკუნეში მცხოვრები პეტრე (მურვანოსი), საქართველოს მეფის ძე, რომელიც პალესტინაში გაზის ეპისკოპოსად ჰმსახურებდა, აგრეთვე წმ. ილარიონ საკვირველთ-მოქმედი, თეოფილე ტარსის ეპისკოპოსი, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელი, თორნიკე ბერი და მრავალნი სხვანი, რომელნიც თავ-განწირულნი იყვნენ საბერძნეთის ინტერესების დასაცველად და ვით კეთილშობილი, ნამდვილი ქრისტიანები სიკვდილსაც-კი არ ერიდებოდნენ, ოღონდ ერთ მორწმუნე ერისთვის რამ სარგებლობა მოეტანათ... სწორედ ზემოდ ხსენებულ წმინდა ადგილების მადლით თავისი თავი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა, თვისი ეროვნული თავისებურობა უვნებლად დაიცვა ქართველობამ ცეცხლსა, ნიავქარსა და ცხოვრების მღელვარ ტალღებს შორის. ამის გამო ამ ადგილების უარყოფა, მათზედ ხელის დაბანვა, მათთვის თავ-განებება, მიტოვება, მივიწყება მათში არსებულ ქართველ მოღვაწეების სამარეებსა და მათს ნაშთებთან ერთად სწორედ იმ დროს, როდესაც ქართველობას ჰყავს დიდებული მფარველი ხელმწიფე იმპერატორი, რომლის მხოლოდ ერთს სიტყვას შეუძლიან მას დაუბრუნოს ის, რაც ეკუთვნის კანონით ხსენებულს ქვეყნებში, იმის შეუცდომელი მომასწავებელი იქნება, რომ მას (ქართველობას) თავის-თავზედაც ხელი აუღია, გული აღარ ერჩის თვისის მშობლიურ ღვიძლ ისტორიისათვის, ის აღარაფერია, აღარ ერობს, აღარ არის და თუ არის, მხოლოდ საცოდავი აჩრდილია თავისის სახელოვანისა და გმირთა გმირი მამა-პაპისა...

ათონის და პალესტინის ორი უმთავრესი მონასტერი მაინც ქართველობასვე უნდა დაუბრუნდეს. ამას მოითხოვს ისტორიული, იურიდიული და ზნეობრივი უფლება. საქართველოს საექსარხოსოს სამივე ეპარქიის სამღვდელოებამ და ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ თავიანთის წარმომადგენლების პირით უნდა აღძრან შუამდგომლობა თვისის მოწყალე ხელმწიფის წინაშე, რათა ქართველობას დაუბრუნდეს უსამართლოდ ბერძენთაგან წართაცებული მონასტრები და მათთვის შეწირული დიდ-ძალი ადგილ-მამული. ნუ დავივიწყებთ იმას, რომ განსვენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მე-III დიდი მონაწილეობა მიიღო ათონის ქართველ ბერების ბედ-იღბალში, სამართლიანად სცნო მათი საჩივარი, რომლითაც მათ მიჰმართეს, რამდენიმე ათასი მანათი შესწირა თვისთა საკუთარ საშუალებათაგან ათონის მთაზედვე ქართველთა ძველ იოანნე ღვთის მეტყველის მონასტრის განსაახლებლად... განსვენებულის ხელმწიფის უხვის შეწირულების მეოხებით დაჩაგრულს ქართველს ბერებს მიეცათ შეძლება ამ განახლებულს სავანეში ათონის მთაზედ დარჩენისა და მხურვალე ლოცვას აღუვლენდნენ ზენაარსს თვისის ქველ მოქმედის ხელმწიფის დღე გრძელობისა და კეთილ წარმატებისათვის და დღესაც გულ-ამოსკვნით იგონებენ იმის სახელს... ბოლოს დროს აქედგანაც, ამ უკანასკნელ თავშესაფარიდგანაც უნდათ ბერძნებს განდევნონ ქართველი მოღვაწე ბერები და ესრედ მოაშორონ ქართველის ფეხი ამ წმიდა მთასა, რომლის ბედ-იღბალთან მკვიდრად შეკავშირებული იყო ქართველის ერის ბედ-იღბალიც... ათონის მთა და პალესტინა,—აი ეს ორი სახელწოდება, რომელიც მყარი ბურჯი იყო ქართველთა სარწმუნოებისა და სულიერის ზრდა-წარმატებისა,—ეს ორი უძვირფასესი სახელი არა ერთსა და ორს ქართველს შთაბერავდა ძლევა მოსილს გრძნობას წმ. ეკკლესიის სიყვარულისას, არა ერთსა და ორს ქართველს განუმტკიცებდა ერთგულებას თვისის სარწმუნოების მიმართ, არა ერთსა და ორს ქართველს აღაფრთოვანებდა, გაამხნევდა, გაატალკვესებდა ქრისტიანობის აურაცხელ მტრებთან მედგარის ბრძოლის ჟამს... მტკიცე და ნათელმხილვანი სიმები თანაგრძნობისა სიყვარულისა გაბმული იყო ქართველის გულსა და ამ ორს ადგილს შორის. ქართველი სულდგმულობდა ამ სულიერ კავშირით და სიყვარულით წმ. ადგილების მიმართ; ის ღირსეულად ამაყობდა იმითი, რომ წილი ედო ამ ადგილებში, ის შესტრფოდა, შორით სალამს უძღვნიდა, მათი ნახვა, მათი მიმოხილვა სწყუროდა და მათ სთვლიდა თვისის მეორე სულიერ სამშობლოდ, გზის სიძნელეს არ უშინდებოდა და მიდიოდა მათდა მოსალოცავად... იქა ხვდებოდა ქართველ მოღვაწეებს, ამხნევებდა, მათგანაც თვითონ მხნევდებოდა და ესრედ კმაყოფილი, ლოცვა-ვედრებით ნუგეშ-ცემული, თვისს სამშობლოშივე ჰბრუნდებოდა და მათის ნახვით თვისს თავს ბედნიერად სთვლიდა. ამ წმიდა ქვეყნებში ქართველებისაგან წილის დაკარგვა მათს სისუტეს, მათს დაღმართ-ბა-დაქვეითებას მოასწავებდა. ასე იყო ძველად, და, თუ არ ვცდებით, ჰამდღემდე ახლაც ასეა...

ორინანი

რომ მონაწილეობა მიიღოს ამ გამოფენაში.

⁂ გუშინ 13 ივნისს, ტფილისის სამოსამართლო პალატის 1 სისხლის სამართლის დეპარტამენტმა პალატის უფროს თავმჯდომარის დ. ს. ს. ს. ბ. ვრასკის თავმჯდომარეობით, განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის სოფ. გვიმრას მცხოვრების გლეხის ბართლომე ეგნატეს ძის გურეშიძისა, რომელსაც ბრალდებოდა თავისისავე სოფლის მცხოვრების ოქროპირ გოგილაძის მოკვლა. მკვლელობა 8 მაისს 1898 წელს მოხდა. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ბ-ნი ოპოჩინინი. პირველად ეს საქმე განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლომ, რომელმაც დამნაშავედ იცნო ბართლომე გურეშიძე და მიუსაჯა ყოველისავე ღირსების და უპირატესობის ჩამორთმევა და სამის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ხოლო მოკლულის ქვრივის სასარგებლოდ ყოველ წლობით 60 მანეთის გარდახდა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

⁂ როგორც ფოთიდგან იუწყებიან, 10 ივნისს, დილის 5 საათზედ, რკინის გზის ლიანდაგის მე-47 ვერსზედ გზის ყარაულის ნოკუზაევის ქალი მოკლული უნახავთ.

⁂ ს. კეხვი. ამ სოფელში ამ ჟამად გადამდები ავადმყოფობა, მუცელა მშვინვარებს, რომელიც დიდ ზარალს აძლევს მცხოვრებლებს. ავადმყოფობა უფრო და უფრო ძლიერდება, მაგრამ ჯერ პატრონი არავინ გამოჩენილა, რომ შემწეობა რამ აღმოუჩინოს.

◆

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲘᲓ-ᲚᲘᲐᲮᲕᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ.

ისე გაიარა მაისმა, რომ აქეთ მხარეს ორი ბრწყინვალე დღე არა ჰქონია; სულ ავდარი, წვიმა და კაი-კავილახი იდგა. ბოლო რიცხვებში ხომ მაისმა უფრო ცუდი ამინდები დაიჭირა, ასე რომ შუა ზამთარშიაც არ გვიგრძნია ამგვარი სიცივეები. რასაკვირველია, ასეთი დარები ნახნავ-ნათესისა და ბოსტნეულობას ხეირს არ დააყრიდა: სულ ერთიანად მოკრუნჩხა და გაუყვითლა მცენარის ფოთოლი და სიცოცხლის ნიშან-წყალი დაუკარგა. დადგა ახლა თიბათვე და ამანაც პირველ დღესვე დაიწყო ჟინჟღვლა და მთელი დღე არ შეწყვეტილა. საღამოს უფრო მოუხშირა, ერთი დაიჭექ-გაიელვა, ამოვარდა საშინელი ქარი და წამოჰყვარა სეტყვა. სეტყვა თუმცა ჩიტის კვერცხზედ მოზრდილი არ იყო, — მაინც ხანგრძლივობითა და მეტის ღონე-სიხშირით განსხვავდებოდა. ისე უწყალოდ ჩაეგვა და წრის გარედ გაიყვანა მთელის მხრის ნახნავ-ნათესი ვენახები და ბაღები, რომ ნაოხარს დაამსგავსა. მტერსაც-კი ტირილი მოუვა, რომ გადაიხედოს, განსაკუთრებით ს. ქერთის ვენახებში, სადაც ვენახები ყველაზედ ძლიერ არის გაფუფუნებული; კაზი კაზს აღარა ჰკავს და ხუხილი ხუხილს.

ქერთელების მდგომარეობა მართლაც შესაბრალისია. ერთის მხრივ სეტყვამ და მეორე მხრივ ლიახვის ტოტმა, რომელიც ერთ ბეწო ავდარზედაც საშინლად ღელდება და თითქმის მთელს სოფელს მოედება ხოლმე, მთლად გაანადგურა სოფელი. პირველ თიბათვის სეტყვის შემდეგ ეს რუ ისეთი ადიდებული მოდიოდა ფოსტის გზაზედ, რომ ცხენიანს გავლა უჭირდებოდა. ბევრი დაწიოკდა იმ ღამეს ამ წყლის გამო და ბევრსაც გაათენებინა ერდოზედ ღამე.

აგერ ეს რამდენიმე ხანია იძახიან რუს გაადრმავებთ და ნაპირებს გავამაგრებთო, მაგრამ ჩვენ, არ იქნა, არას გვეშველა-რა. ძალიან სამადლობელს საქმეს იზამს ცხინვალის ბოქაული, თუ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და გაამაგრებინებს როგორმე რუს ნაპირებს.

ქერთის გარდა სეტყვამ სხვა სოფლებიც დასეტყვა.

ს. ბასიშვილი

◆

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲛᲔᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲔᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

როგორც ქვეით დაინახავს მკითხველი, „ივერიის“ მე-113 და 114 ნომრებში მოთავსებულ მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის კრების ანგარიშში ბ-ნს „იმედს“ ნებსით, თუ უნებლიეთ, შეცდომები შეჰპარვია. ავტორს მოჰყავს ერთისა და იმავე კაცის ნათქვამი და იმით ათავებს. 1) მაგალითად, ამხანაგობა სესხულობს ფულს სამხრეთ-რუსეთის სამრეწველო ბანკის ბათუმის განყოფილებისაგან არა $22^0/_0$, როგორც მოგვითხრობს იოსებ ქუთათელაძე, არამედ წლიურ $10\frac{1}{2}\,^0/_0$ (ათნახევარ პროცენტად). ამხანაგობის მართველს არა ერთხელ მიუმართავს ჩვენებურ სხვა ბანკებისათვის, მაგრამ ამაოდ. სარგებელს ვინდა ჩივის, ოღონდ-კი უფრო ეგდოთ თორემ!.. საქონელს რომ დაზღვევა უნდა, ფულის აღებას თუ გასტუმრებას რომ წასვლა-წამოსვლა ეჭირება და სხვა ხარჯები, ეს რომ სარგებელს შევაკეცოთ და „ბანკი გვართმევსო“ ვიძახოთ, განა რა სამართალია?

2) ი. ქუთათელაძის სიტყვით, ამხანაგობა დასდგომია კაჭრულ ანგარიშებს: „გამგეობამ მიჰყო ხელი ყიდვა-გაყიდვის საქმესო — იღებს იაფად თესლს, ნედლ პარკს და ჰყიდის დიდ ფასადაო“... ცხადია, რომ ამხანაგობა ყიდვა-გაყიდვის საქმეში კაჭრულის ანგარიშით ხელმძღვანელობს, მაგრამ ის-კი სიმართლეს მოკლებულია, ვითომც ამხანაგობა პარკს იაფად ყიდულობდეს. სრულებითაც არა. შარშან, მაგალითად, ამხანაგობამ ფუთ ნედლ პარკში მისცა თექვსმეტი მანეთი, მაშინ როდესაც საზოგადო ფასი პარკისა იყო ადგილობრივ 10—12 მანეთი... ამას ჰქვიან იაფად ყიდვა? ხოლო რაც შეეხება ძვირად გაყიდვას, ნუ თუ ესეც სამწუხაროდ ურჩევია ვისმე ჩვენგანს?! წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული იყო დაწვრილებითი ცნობები, დღიდან არსებობისა რამდენი თესლი უყიდნია ამხანაგობას, რა მიუცია და რა აუღია. გამოდიოდა, რომ ამხანაგობას ერთი მეორეზედ თითო მისხალ თესლში მოუგია (2) ორი კაპეიკი, ანუ კოლოფში თორმეტ კაპეიკამდე. სამწუხაროა, თუ მეტიც არა, და ეს კრებაშიაც შენიშნა ამხანაგობის მართველმა ბ-ნს ი. ქუთათელაძეს, რომ თვით ისინი, ვისაც მოვალეობას შეადგენს დაახლოვებით გაეცნოს ამხანაგობას და სხვას გააცნოს იგი, თვით ისინი ავრცელებენ ამხანაგობის შესახებ უსწორო და სიმართლეს მოკლებულ ამბებს. გინდ გაზეთში დაუწერეთ ანგარიშები, გინდ კრებაში გააცანით, ისინი მაინც თავისას გაიძახიან...

3) სრულიად მოკლებულია სიმართლეს ბ-ნ „იმედისაგან“ მოთხრობილი ამბავი, ვითომ ამხანაგობის მმართველს განცხადებინოს კრებაში, რომ მან შარშან „სადედედ“, თანახმად ვითომ ი. ქუთათელაძის რჩევისა, 27—30 ათასის მანეთის პარკი მიიღო მეაბრეშუმეთაგან საკომისიოდ გასასყიდად და გაყიდვის შემდეგ პატრონებს ფუთში 16 მანეთი დაურიგა. შარშანდელი-კი რა მოგახსენოთ, ხოლო წლევანდელი რჩევა ი. ქუთათელაძისა იყო, რომ კრებას სავალდებულოდ გაეხადა წევრთათვის, რათა მათ თავიანთი პარკი უთუოდ ამხანაგობისათვის ჩაებარებინათ უფასოდ და საჭიროებისათვის სესხად წაეღოთ ფული ამხანაგობისაგან. ქუთათელაძეს მოახსენეს, რომ ოქმების დადგენას არ შეუძლიან ცხოვრების მოთხოვნილება ერთბაშად შესცვალოს... დრო მოვა, რომ ეგ შესაძლებელი გახდეს და მაშინ არც ძალდატანება იქნება საჭირო, დღეს კი ასეთი დადგენილება სარგებლობის ნაცვლად ზარალს მოიტანსო. შარშან, სრულიად თავის ნებით, ამხანაგებმა მთელი პარკი, რაც შარშან ამხანაგობას ჩაბარდა, ფუთი თითო თუმნად დაუტოვეს (6,000 ფუთი) იმ პირობით (სიტყვიერის პირობით), რომ გაყიდვის შემდეგ მიიღებდნენ, რასაც მოიტანდა გაყიდულობა. ამხანაგობის მმართველი ვარაუდობდა საბოლოო ფასად 14—16 მან. მართლაც, 16 მან. მიიღეს ყველამ თითოეულ ფუთში, ესე იგი თუმნის გარდა კიდევ ექვს-ექვსი მანეთი. აქ „სანიმუშო“ რა არის?

4) არ ვიცი როგორ მომხდარა, რომ ბ-ნს „იმედს“ გამოჰპარვია და მკითხველ საზოგადოებისთვის ვერ უცნობებია ისეთი ფაქტი, კრებაზედ მომხდარი, რომელიც ერთობ კარგის მხრივ ახასიათებს კრებას. საქმე ის გახდა, რომ მრავალრიცხოვანმა (400-მდე) კრებამ ერთხმად უარი განაცხადა მიეღოთ დივიდენდად $15^0/_0$ და დასჯერდა $12^0/_0$. მზად იყო დასჯერებოდა ნაკლებსაც, რა-კი დაინახა, რომ ეს საჭირო იყო გასაძლიერებლად ამხანაგობისა. „ჩვენი მოგება საქონელში აღებული მეტი ფასიაო“, გაიძახოდა კრება. ეს განაჩენი კრებისა ორჯელ-სამჯერ სხვა-და-სხვა გვარად შეკითხვით განმეორებულ იქმნა მისგან, ვინაითგან ი. ქუთათელაძემ ვითომ ეჭვი შეიტანა ამ განაჩენის გულწრფელობასა, თუ სინამდვილეში. ამ ნაირად, რვაასი თუმნის წმინდა მოგებიდგან კრებამ მხოლოდ სამას თუმნამდის (2,862 მან.) გაანაწილა დივიდენდად. დანარჩენი-კი ხუთას თუმანზედ მეტი, საქმეშივე ჩასტოვა, სათადარიგო და ძირის თანხად (1,612 მანეთი), ქონების ფასის გასანაღდებლად (3,042 მან.) და სხვა.

5) მდივანს კრებამ 1,000 მან. დაუნიშნა და არა 1,400; მოანგარიშეს — 600 მან., და არა 500.

ნ. წ.

◆

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

—

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ. თუმცა ოფიციალურად ომი არ იქმნა გამოცხადებული ევროპის სახელმწიფოთა და ჩინეთს შორის, მაგრამ ფაქტიურად იგი უკვე დაიწყო. პირველი თვალ-საჩინო ბრძოლა, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ტაკუში მოხდა. იქ ოთხის სახელმწიფოს — რუსეთისა, გერმანიისა, ინგლისისა და საფრანგეთის გემებმა აიღეს ამ ქალაქის სიმაგრენი. ბრძოლა მოულოდნელად მოხდა. ტაკუში მყოფ გემების უფროსებმა გაიგეს, რომ ჩინელები ნავთ-სადგურში ნაღმებს აწყობდენ, ასწორებდნენ სიმაგრეებს, ამრავლებდნენ მეციხოვნეებს და სხვა. უფროსებმა შეუთვალეს, რას ნიშნავს ესო. ამის საპასუხოდ ჩინელებმა ყუმბარები დაუშინეს გემებისათვის სიმაგრეებიდგან, და ატყდა ბრძოლა. უცხო ქვეყნელთა გემებს უფროსობდა პირველი რანგის კაპიტანი დობროვოლსკი. ჩინელებს მოუკლეს 400 კაცი. კერძოდ რუსებს მოუკლეს ერთი ლეიტენანტი — ბურაკოვი, დაუჭრეს: ლეიტენანტი დედენოვი — სასიკვდილოდ, ტიტოვი — მძიმედ, ბოგდანოვი — მსუბუქად. ჯარის კაცი მოკლულ იქმნა თექვსმეტი, დაჭრილ 67. რაღა ლაპარაკი უნდა, ამ პირველის ბრძოლის შემდეგ სახელმწიფონი დროს აღარ დაჰკარგავენ და ჯარსა და გემებს გაჰგზავნიან ჩინეთში. ინდოეთიდგან ინგლისი ექვს რაზმსა ჰგზავნის, საფრანგეთი ჰგზავნის 3 გემსა და 2000 ჯარისკაცს, ამერიკა — 5000 კაცს, იაპონია — 2000 (იაპონია, ამბობენ, ამას გარდა 10,000 კაცს ჰგზავნისო), არ იციან რუსეთი რამდენსა ჰგზავნის.

— პეკინში მყოფ ელჩებისა და იქ მცხოვრებ უცხო-ქვეყნელთა შესახებ ჯერ კიდევ არაფერი ისმის. „ლაფფანის სააგენტოს“ მიერ გავრცელებულ ამბავმა, რომ გერმანიის ელჩი მოჰკლეს, გერმანიის მთავრობა ძალიან დააფიქრა. მაშინვე დეპეშები გაუგზავნიათ ჩინეთში ელჩებისათვის და შეუთვლიათ, შეგვატყობინეთ, მართალია თუ არა სააგენტოების მიერ გავრცელებული ამბავიო, მაგრამ, როგორც ვსთქვით, ჯერ დანამდვილებით ვერაფერი გაუგიათ.

— ცოტა ოდენ ცნობებს პეკინის შესახებ გაზეთ „Daily Expr“-ს ატყობინებენ: „დიდის მუშტის“ ბრბოები, სწერს ეს გაზეთი, სახელმწიფოთა საელჩოებს დაეცნენ. ამ ბრბოებს ჩინელის გენერალის ტუნგის ჯარიც მიეშველა. ზოგიერთს საელჩოს შენობანი სრულიად დააქციეს, ხოლო ერთი ელჩი მოჰკლეს. ჰფიქრობენ, რომ ეს ელჩი ფონ-კეტტელერია, გერმანიის ელჩი. რამდენსამე საათით წინ ელჩებმა ულტიმატუმი გაუგზავნეს მუნგ-ლი-იამენს და გამოუცხადეს, თუ ჩვენ თავს დაგვესხნენ ან ჩვენგანი მოჰკლეს ვინმე, ევროპა ომს გამოგიცხადებთო. მუნგ-ლი-იამენს პასუხი არ გაუცია“. პარიჟში კიდევ შემდეგის შინაარსის დეპეშა მიუღიათ: „ევროპის ხუთის სახელმწიფოს ელჩებმა სთხოვეს მუნგ-ლი-იამენს, გზები მოგვეცით, რომ უვნებელი გავიდეთ პეკინიდგანაო, მაგრამ მუნგ-ლი-იამენს უარი შეუთვლია.

— როგორც იაპონური გაზეთები იუწყებიან, აჯანყებულს მოძრაობაში 100,000 კაცი იღებს მონაწილეობას. ეს ამოდენა ხალხი უმთავრესად პეკინისა და ტიან-ძინს მახლობლად არის შეკრებილი. მაგრამ ისე დღე არ გადის თურმე, რომ ახალ-ახალი ბრბოები არ მიემატოთ. „დიდის მუშტის“ ბრბონი სამხრეთ ჩინეთშიაც გაჩნდნენ და იქ მცხოვრებ ევროპიელთაც მოელით შიში. სული და გული აჯანყებულის მოძრაობისა პრინცი ტუანია, ამას წინად ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებულის მამა. ამ პრინცმა გადააყენა ევროპის ყველა მომხრე და იმათ ადგილას ახალი მოხელენი დანიშნა, ისინი, ვინც უფრო ევროპიელთა სიძულვილით არის გამსჭვალული.

— ვაშინგტონსა და სხვა ქალაქებში „დიდს მუშტს“ შემდეგის შინაარსის განცხადებანი გაუკრავს სახლებზედ: „განდევნეთ უცხო-ქვეყნელი ქაჯები! გაანადგურეთ ეს საზიზღარნი! დააქციეთ რკინის გზები, ტელეგრაფის ბოძები! ჩასძირეთ მათი გემები! ამისაგან გული გაუსკდებათ ფრანგებს, რუსები და ინგლისელები დაიღუპებიან და ჩვენი სახელმწიფო მოისვენებს“.

◆

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

საოცარს ამბავს გადმოგვცემს ერთი გაზეთი. ისეთი მაგალითები ხშირია, რომ ქალს 13, 14, 16 შვილი ჰყოლოდეს, მაგრამ 30 და 40 შვილი კი, ვგონებთ, არავის გაუგონია. ამერიკის შტატ გეორგიაში სცხოვრობს ერთი ქალი ვალლი შივე, რომელსაც ამ ჟამად 27 შვილი ჰყავს თურმე. ეს კიდევ არაფერი. სიცილიელმა ქალმა გრანატამ ბევრით გადააჭარბა შივეს, ეს ქალი 26 წლისა გათხოვილა. ერთის წლის შემდეგ ქალი გასჩენია, ხოლო ათი თვის შემდეგ — ხუთი ბავშვი ერთად, ხუთივე ჯანსაღი და მთელი ყოფილან. შემდეგ სამი გასჩენია, მერე ოთხი. ყოველ წელიწადს სინიორა გრანატა უმისოდაც მრავალ-რიცხოვან ოჯახს ორს, სამს და ხან ოთხ ბავშვს უმატებდა; ამ დღეებში კიდევ ხუთი ქალი გასჩენია და ამ რიგად გრანატას შვილების რიცხვი 42-ამდე ასულა.

* * *

ჩიკაგოში ამას წინად პოლიციამ დახურა ერთი უცნაური „უნივერსიტეტი“, სადაც საოცრად მალე და სწრაფად „აცხობდნენ“ თურმე ექიმებსა. კურსი ამ „უნივერსიტეტში“ სულ ათი დღე იყო, „გათავების“ დროს ახლად გამომცხვარნი მშვენიერ დიპლომებს იღებდნენ. ბევრი, ამ „უნივერსიტეტში“ კურს გათავებული „ექიმი“ სამხრეთ-აფრიკაში მყოფ ინგლისის ჯარში შესულა სამსახურისათვის.

* * *

ვინ არ უწყის, რომ ეხლა ელექტრონს ყველა საქმეში იყენებენ და, სხვათა შორის, მკურნალობაშიაც. ამას წინად პრუსიაში ერთმა მკურნალმა ავადმყოფს ბავშვს ოპიუმი გამოუწერა. რასაკვირველია, ბავშვისთვის ოპიუმი ცოტ-ცოტა უნდა ეძლიათ, მაგრამ ქალს, რომელიც ბავშვს უვლიდა, უყურადღებობისა გამო ერთხელ მეტი მიუცია. ბავშვს სუნთქვა და გულის ცემა შესჩერებია და ღრმა ძილში ჩავარდნილა. მკურნალი დიდად შეშინებულა, რადგანაც ბავშვის გამოცოცხლება ვერაფრით ვერ მოუხერხებია. ბოლოს ელექტრონისათვის მიუმართავს. მიუტანია ელექტრონის აპარატი, ერთი ელექტროდი მუცელზედ დაუდვია, მეორე კისერზედ და ტოკი მიუშვია. ცოტა ხანს უკან ბავშვს სუნთქვა დაუწყვია. მაგრამ შეუჩერებიათ თუ არა ტოკი, ბავშვი ხელ-ახლა ძილს მისცემია. ხელ-მეორედ მიუშვიათ ტოკი და აპარატი იმ დრომდე არ მოუშორებიათ, ვიდრე ბავშვი სრულიად არ გამოცოცხლებულა. მთელი ერთი საათი დასჭირდა ამ საქმეს. რამდენისამე დღის შემდეგ ბავშვი სრულიად განკურნებულა და ფეხზედ წამომდგარა.

◆

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

როგორ უნდა დაუცოთ პირი მაგრა ბოთლებს.

შინ მომზადებულ თუ სხვა სასმელების საუკეთესოდ შესანახად, სულ ერთია ღვინო იქნება ეს, თუ სხვა რამ შინ მომზადებული ტკბილი სასმელები, საჭიროა უთუოდ, რაც შეიძლება პირი მაგრად დაუცოთ ბოთლსა. ამისათვის უნდა აიღოთ ოთხი წონა ფისი, ამდენივე უბრალო კანიფოლი და ერთი წონა ყვითელი კოშტი სანთელი და ნელს ცეცხლზედ გაალღოთ, გაადნოთ; როდესაც ეს ნარევი ნივთიერებანი საკმაოდ გადნებიან, აიღოთ პირ-დაცმული ბოთლი და თავი ამ სითხეში ჩაუყოთ და ნელ-ნელა ატრიალოთ, რომ წებოსავით ანუ თათარასავით ზედ აეკრას სქლად ბოთლის თავსა და ყელს. როდესაც ნახავთ, რომ საკმაოდ სქლად აეკრა ბოთლს ეს წებოს მაგვარი სით-

ხე, ამოიღოთ და გრილ ადგილას დადგათ, რომ შეიყინოს.

ამ რიგად შირდაცმული ბოთლი და სასმელი სრულიად უზრუნველყოფილია რაიმე მავნე ნივთიერებათა ჰაერიდამ შიგ ჩასვლისაგან და ამოშრობა-ამოქრობისაგან. ამასთანავე, სასმელი შედარებით მეტ ხანსაც სძლებს.

* * *

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ივნისი.

პეტერბურგი. 12 ივნისს სერგიის უდაბნოში დაასაფლავეს გვამი გრაფის მურავიოვისა. დასაფლავებას დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორის ასული, დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, მიხეილ ნიკოლოოზის ძე და პეტრე ნიკოლოოზის ძე.

ვენა. როგორც ტაკუდგან იუწყებიან, ამ ქალაქს განსაცდელი მოელის. ჩიფუში 15 ავსტრიელი დასტოვეს საელჩოების დასაცველად.

პარიჟი. შანხაიში მყოფი საფრანგეთის მთავარი ელჩი დეპეშით იუწყება, რომ, როგორც ჩინეთის რკინის გზის დირექტორმა—შენგმა განაცხადა, ელჩები და ევროპიელნი პეკინში 19 ივნისს უვნებელნი იყვნენ, ჩინეთის მთავრობის ნება-რთვით ისინი პეკინიდგან მიდიან.—ფრანსუა დეპეშით იუწყება: „ინდო ჩინეთიდგან გაგზავნილს საფრანგეთის ელჩს აზრადა ჰქონდა იუნანსენიდგან 24 ივნისს გასულიყო“.

ჩიფუში მყოფის საფრანგეთის ელჩის დეპეშა: „ქალაქში დიდი შიშიანობაა, მაგრამ წესიერება ჯერ-ჯერობით არ დარღვეულა“.

სიმლა. ჩინეთში გასაგზავნი ჯარი ორ ბრიგადამდე იქმნა აყვანილი, თითო ბრიგადაში ოთხ-ოთხი ბატალიონია. დივიზია შესდგება კავალერიის ერთის რაზმისა, საპიორების სამის როტისა და ერთის ბატარეისაგან.

ვაშინგტონი. ბრძანება ტაკუში სამხედრო გემის „მონადნოკის“ გაგზავნის შესახებ გაუქმებულია.

ჩიფუ. შანტუანის გუბერნატორმა გენერალმა იანიშკაიმ, რომელიც ევროპიულად გაწვრთნილს 10,000 ჯარის-კაცს უფროსობს, ბრძანება მიიღო პეკინში წავიდეს თავისის ჯარით. იმპერატორის ბრძანებაში დაწვრილებითი ინსტრუქციებია მოთავსებული იმის შესახებ, თუ იანიშკაი როგორ უნდა მოიქცეს.

ჩინეთის შიკრიკებმა 21 ივნისს ამბავი მოიტანეს ტიან-ძინიდგან, რომ ტიან-ძინიდგან 40 მილის მანძილზედ ევროპიელთა რაზმი რამდენისამე დღის განმავლობაში მხნედ ებრძოდა მრავალ-რიცხვოვანს ჩინეთის ჯარსაო. ეჭვი არ არის,—ეს რაზმი სეიმურისაა.

შანხაი. დირექტორის შენგისაგან ამბავი მოვიდა, რომ ევროპიელება პეკინში ჯერ-ჯერობით არა უჭირსრა, მაგრამ სადიპლომატო მისსიათა რამდენიმე სახლი დასწვესო.

იოკაჰამა. როგორც ეტყობა, ჩინეთის კრიზისის შესახებ იაპონია იმ აზრისაა, რომ ევროპის სახელმწიფოების თანახმად მოიქცეს და საზოგადო გეგმას ხელი არაფრით შეუშალოს. იაპონია მაინც მტკიცედ ადგა იმ მიმართულებას, რომ მშვიდობიანობა აღდგენილ იქმნას.

სტანდერტონი. ბურგერები პირობას იძლევიან ნეიტრალიტეტი დაიცვან და იარაღი დაჰყარონ. კრიუგერის ჯარი ეხლა 15—20,000 კაცისაგან შესდგება. ამბობენ, კრიუგერს უნდა ომი იმ დრომდე განაგრძოს, ვიდრე ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები მოხდებოდეს, იმ იმედით, რომ მაშინ ამერიკელები ჩაერევიანო.

ლონდონი. რობერტსი პრეტორიიდგან დეპეშით იუწყება, რომ სტარდენტონში ბულლერმა სურსათის ურმები ჰნახაო. ჰოლანდიელნი გადიან ტრანსვაალიდგან. ჰამილტონმა გეიდელბერგი დაიჭირა. მტერი ინგლისელების მოახლოვებისას გაიქცა. კავალერიამ გაჰფანტა მტერი. 22 ივნისს სროლა მოხდა. მტერმა იერიში მიიტანა ინგლისის პოზიციაზედ გონინგ სპრუიტთან და, ვიდრე ინგლისელთა ჯარი მიეშველებოდათ, დააქცია რკინის გზის სამი ხიდი.

მოსკოვი. 12 ივნისს, დილის 3 საათზედ, სადგურებს კოზმოდემიანსკისა და სემბრატოვოს შუა ორი საქონლის მატარებელი დაეჯახა ერთმანეთს. დაიმტვრა 23 ვაგონი. მოკლულ იქმნა მთავარი კონდუქტორი, დაიჭრა რამდენიმე მოსამსახურე მატარებლისა.

შანხაი. საქმეთა მსვლელობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, გარდა იმისა, რაც ჩიფუში მოხდა. ჩიფუში მყოფი იაპონიის კონსული იუწყება, რომ იქ ყველა აღელვებულია და, ჩიფუს მახლობლად ჩინეთის ჯარების მოძრაობისა გამო, ვაჭრები ქალაქიდგან იყრებიან.

ჩუნგკინგსა და მინგპოში მცხოვრები უცხოელები თხოულობენ, რომ მათდა დასაცველად ბრიტანიის სამხედრო გემები იქმნას გაგზავნილი, მაგრამ ამ ჟამად არც ერთი თავისუფალი გემი არ მოიძებნება. აქ დიდი იმედი აქვთ, რომ მთავრობა იანცზეკიანგში ძლიერს ფლოტს გაჰგზავნის და პროვინციელ მმართველთაც მოიწვევს მოსაშველებლად. ნან-კინის ვიცე-კოროლი თხოულობს, რომ, როგორც კი რაიმე უწესოება იქმნება აღმოჩენილი, მაშინვე შესაფერი ღონისძიება იქმნას მიღებული ამ არეულობისა და უწესოების მოსასპობად.

დღევანდელ გარემოებათა მიზეზით, ჩრდილოეთში ვაჭრობა თანდათან ეცემა ნანკინის ვიცე-კოროლმა შანხაიში მყოფს ბრიტანიის მთავარ კონსულს აცნობა, რომ ჩინეთის ესკადრა ამ ჟამად შანხაიში იმყოფებაო.

13 ივნისი

პეტერბურგი. ტაკუს სიმაგრეთა იერიშით აღების დროს მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ-ციმბირის მე-12 მსროლელთა პოლკის რაზმმა რომელიც ორის დღის წინად არტურის ნავთ-სადგურიდგან იყო გაგზავნილი. ამ პოლკის პორუჩიკი სტანკევიჩი ოთხის ჯარის-კაცით პირველად ავიდა იერიშ-მიტანილს ციხე-სიმაგრეზედ. ამ საქმეში რაზმს მოაკლდა სამი ჯარის-კაცი, რომელნიც დაჭრილნი არიან და რომელთა შორის ერთი მძიმედ არის დაჭრილი. ამ თავ-გამოჩენისათვის სტანკევიჩს ყოვლად უმოწყალესად ეპოძა ორდენი წმ. გიორგის მეოთხე ხარისხისა, ხოლო მასთან ციხეზედ ასულ ჯარის-კაცებს სამხედრო ორდენის მესამე ხარისხის ნიშნები; ამისდა დამოუკიდებლად თვით რაზმს მიეცა ოთხი ნიშანი იმავე ორდენისა მეოთხე ხარისხისა.

კიევი. მიტროპოლიტი ვლადიმირი მოსკოვს წავიდა.

ლონდონი. ჩიფუდგან დეპეშაა მიღებული, რომ მთელი რაზმი, სეიმურთან ერთად ტიანძინიდგან პეკინში წასული, დაახლოვებით 2000 კაცისაგან შესდგება და წარმოადგენს შეერთებულს ძალას უცხოქვეყნის ერთად მომქმედ სამხედრო გემების ზღვაოსანთაგან შედგენილს. რაიმე დახმარების გაწევა მთავარსარდლის საშველად შეუძლებელი იყო, რადგან მისის მდგომარეობის ამბავი მაშინ იქმნა შეტყობილი, როდესაც ტიან ძინს ჯარი შემოერტყა. ტიან-ძინში ამის შემდეგ იძულებული ივო სასიკვდილოდ ებრძოლა. როდესაც ამბავი მოვიდა, რომ ჩინეთის ჯარისათვის შეკვეთილია რკინის გზის მატარებლები, რათა ტიან-ძინს თავს დაესხანო, და რომ ჩინეთის ჯარმა გაანადგურა ტონკა, გაამაგრა ტაკუ და ნაღმი გაუკეთა პეიხოს სათავესაო, მაშინ გარდაწყვეტილ იქმნა საჩქაროდ დაეპყრათ ტაკუ, ხოლო ეხლა სცდილობენ ტიან-ძინი განათავისუფლონო.

* * *

წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს თელავის საზოგადო წიგნთ-საცავს ქართული წიგნები. მ. მ. საფაროვ-აბაშიძისამ შემოსწირა ხუთი ქართული წიგნი, ღირებული 1 მან. 50 კაპ., ბ-ნმა დავით მაჭავარიანმა 6 ქართული წიგნი, ღირებული 2 მან. 50 კაპ. ქ-მა ანნა მერკვილაძისამ 15-ტი წიგნაკი 1 მან. 48 კაპ., ბ-ნმა იმედაშვილმა 9 ცალი წიგნაკი 1 მან. და 58 კაპ., ბ-ნმა ონისე ჭიკაძემ 96 წიგნაკი 1 მან. 8 კაპ.

თელავის საზოგადო წიგნთ-საცავის გამგე
მელქო აჯიმამუდოვი

—

მადლობას ვუცხადებ, ვინც ქ. ერევანში „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ ფული გადმოგვცა. სულ შესდგა 24 მან. 50 კ., რომელსაც ფოსტით გიგზავნით. აი სია შემომწირველთა: სამ-სამი მანეთი: დეკანოზმა ირაკლი იორდანაშვილმა, ბ-ნმა სიმონ ნიკოლოოზის ძემ კასრაძემ; ორ-ორი მანეთი: დეკანოზმა ლაზარე ტურიევმა, მღვ. დიმ. ვარდიაშვილმა, მღვ. ქრისტეფორე ჯიოშვილმა, იულია თავითის ასულმა კნ. მიქელაძისამ, მიხეილ სიმონის ძე ზედგინიძემ, მიხეილ რომანის ძე ზაალიშვილმა, ივანე ნიკოლოოზის ძემ ზედგინიძემ და ი. ხ. ოქროპირიძემ. მანეთი და ათი შაური: თავ. ივანე ჩერქეზიშვილმა, თითო მანეთი ბ-ნმა კ. მ. კაკაბაძემ, გ. ჩხარტიშვილმა, ალექ. კოხაშვილმა, კ. მძინარაშვილმა, შ. ყავრიშვილმა, გ. ცალქალამანიძემ, ვ. ჩინჩალაძემ, გ. ოქროპირიძემ, ვ. დ. კილოსანიძემ, ნ. კანდელაკმა, ელიაზარ ფურცელაძემ და მღვ. ვლადიმერ კასრაძემ. ათ-ათი შაური: ილია ქავთარაძემ, თედო ბურჯკურმა და სილოვან ხომასურიძემ. ჯამი 37 მან.

შემომწირველთა სურვილისა თანახმად, ამ ფულიდგან თორმეტი მანეთი გაეგზავნა ქ. ახალციხეში ქართულს წიგნთ-საცავ-სამკითხველოსათვის განზრახულ შენობის სამზრუნველოს თავმჯდომარეს ქ-ნს კონსტანცია მეფისაშვილს, 50 კაპ. ფოსტის ხარჯი გახლავთ, ხოლო 24 მანეთი და 50 კაპ. გთხოვთ გარდასცეთ დანიშნულებისამებრ.

ივანე ზედგინიძე

—

„ივერიის“ 113—114 №№-ში დაბეჭდილს წერილებს (ქუთ. გუბ. მეაბრეშუმეთა I-ლ-ამხანაგობის წლ. კრება) მოწერილი აქვს ჩემი ფსევდონიმი იმედი; ეს დასახელებული წერილები მე არ მეკუთვნის. ვაცნობებ ამ ახლად გამოცხადებულს „იმედი“-ს, ეგ ჩემი ფსევდონიმია, უკვე ერთხელ ხმარებული. შეიძლება მას არც-კი მოეხსენებოდეს, რომ ეს ფსევდონიმი სხვას ეკუთვნის, მაგრამ „ივერიის“ რედაქციამ უკეთ უწყის, თუ ვინაა მისი პირველი მხმარებელი.

იმედი

* * *

სასამართლოს ცნობები.

—

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

20 ივნისი

საქმე მელიტონ კვაჩალიას ძის რუსიასი, რომელსაც ცხენის ქურდობა ჰბრალდება.

საქმე ალექსანდრე დათუნაიშვილისა.

27 ივნისი

საქმე ილია დიმიტრის ძის თუხარელისა, რომელსაც ბრალად ედება ხუთის კოდის ხორბლისა და სამის კოკის ღვინის მოპარვა.

საქმე სანდრო ყარაშვილისა, რომელსაც კაცის სასიკვდილოდ დაჭრა ჰბრალდება.

* * *

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით, 20 ივნისს, ამა 1900 წელს, შუადღის 12 საათზედ, მოხდება ხელ-ახლად

საქართო ვაჭრობა,

რომელზედაც გაიცემა იჯარით მე-9 ნაწილში არსებულ ქალაქის სასწორებზედ გადასახადის მოკრეფის საქმე. პირობები მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმის გარდა, 8-დგან 1 საათამდე.

(3—6.—2)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ცრიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—12)



თვით-მოძრავი ელევატორი ხან-აგოვისა.

ასეთს ელევატორს დღე და ღამ განუწყვეტლივ აქვს წყალი თავის-თავად ქვეიდგან ზევით. იგი საუცხოვოა მინდვრებისა და ბაღების სარწყავად.

მსურველმა ამ ადრესით უნდა მიჰმართოს:

Л. Е. Ханъ-Агову, Тифлисъ, Петербургская улица, № 12.

(15—102—10)

გამოვიდა ახალი წიგნები:

- ა) უკვდავთა ღაღადებანი ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.
- ბ) ქართული მწერლობა მე-X საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.
- გ) Царица Тамара, ფასი 50 კ.
- დ) Груз. обители внѣ Грузіи, ფ. 25 კ.
- ე) Истор. груз. церкви, ფ. 40 კ.

(20—უ.—6)

ამა წლის პირველ აპრილიდგან

დაბ. ქარელიდან დ. ცხინვალამდე

ივლის ომნიბუსები

კაცის თავზე ფასი 90 კაპ. ომნიბუსი ქარელიდგან გავა პირველ საათის ნახევარზე და მივა ცხინვალს 4 საათსა. ცხინვალიდან წამოვა დილის შვიდ საათსა და იქმნება ქარელს ათის ნახევარზე.

ომნიბუსების პატრონნი: აბელ გალატოზიშვილი და თ. ა. ნ. ციციშვილი.

(10—6.—10)

„იავნანამ რა ჰქმნა?“

სახალხო და საყმაწვილო მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა,

დაბეჭდილი მესამედ „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ, რომლის საკუთრებასაც შეადგენს. წიგნაკი შემკული ცხრა სურათით და ღირს ერთ შაურად. იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და სხვა ქალაქებშიაც გაიგზავნება.

(4—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Іюня 1900 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე